



**სსიპ სივრცითი და  
ქალაქთმშენებლობითი  
განვითარების სააგენტო**

დავით აღმაშენებლის გამზ. N154  
0112 თბილისი, საქართველო  
www.suda.gov.ge  
info@suda.gov.ge

11 / დეკემბერი / 2023 წ.



KARR0133115347923

№ 04/891

სსიპ სახელმწიფო ქონების  
ეროვნული სააგენტოს  
სახელმწიფო ქონების  
პრივატიზების  
დეპარტამენტის უფროსს  
ბატონ ზურაბ ნიქვაძეს

ბატონო ზურაბ,

სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 2023 წლის 5 დეკემბრის № 6/66552 წერილი (შემოსული დოკუმენტი: 1052/21; თარიღი: 05.12.23), ქალაქ რუსთავეში, მეგობრობის გამზ. №27-ის მ/ტერიტორიაზე არსებული 1715 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის უძრავი ქონების) № 02.04.03.719) ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებასთან დაკავშირებით.

აღნიშნულზე კომპეტენციის ფარგლებში გაცნობებთ, რომ დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთი (ს.კ. №02.04.03.719) ქალაქ რუსთავის გენერალური გეგმის შესაბამისად მდებარეობს ცენტრის ზონა - სექტორი 2 (შზ-2<sup>II</sup>)-ში (საპროექტო), რომელიც წარმოადგენს საშუალო ინტენსივობის შერეულ ქვეზონას, სადაც დომინირებს საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტები. სამშენებლო მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობი უნდა შეადგენდეს 600 კვ.მ-ს. ქალაქთმშენებლობითი პარამეტრებია: მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი კ1-0.5; (კ1-07 - მხოლოდ განაშენიანების დეტალური გეგმის დამუშავების შემთხვევაში); მიწის ნაკვეთის განაშენიანების სიმჭიდროვის მაქსიმალური კოეფიციენტი კ2-3.0; მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი კ3-0.2.


**სექტორი 2 (შზ-2) ნებადართული სახეობებია:**

- მრავალფუნქციური შენობა;
- სასტუმრო;
- სარეკრეაციო სივრცეები და მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო შენობა-ნაგებობები;
- კვების და საოფისე ობიექტები;
- მომსახურების ობიექტები, გარდა ავტოსატრანსპორტო საშუალებების მომსახურების ობიექტებისა;
- ადმინისტრაციული ობიექტები;
- გასართობი დანესებულებები რომლის დანიშნულებაა მისი დასაშვებობის საშუალებას იძლევა;
- რელიგიური/საკულტო, კულტურის, სოციალური, ჯანდაცვისა და სასპორტო ობიექტები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დაინტერესებაში არსებული შინის ნაკვეთის (ს.კ. № 02.04.03.719) სამშენებლოდ განვითარება დასაშვებია, მომიჯნავე ნაკვეთებთან ერთიანი ხედვით დამუშავებული განაშენიანების დეტალური გეგმის ფარგლებში, ფუნქციური ზონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

პატივისცემით,

სსიპ–სივრცითი და ქალაქმშენებლობითი  
განვითარების სააგენტოს უფროსი

ხელმოწერილია/  
შტამბდასმულია  
ელექტრონულად 

იონანე მენაბდე